398 -1685-
ჴ-205
ბალანჩივაძე ნ.კ.
-1685-

შეკვ. 7 ტირ. 80

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

398
ჴ-205

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო კარლოს ასული ბალანჩივაძე

# ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველი სახე–სიმბოლოები "ღვთიშვილთ დაბადების" მიხედვით ქართულ თეოგონიაში

10.01.09 – ფოლკლორი

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯონდო ბარდაველიძე

ექსპერტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპ. ცანავა

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი შ. კვანტალიანი

წამყვანი ორგანიზაცია - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დაცვა შედგება 1999 წლის 24 თებერვალი 12⁰⁰ სთ

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (Ф.10.01 С №3) სხდომაზე

მისამართი: 380008 ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5

დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაგზავნილია 1999 წლის 22 იანვარი

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ა. არაბული

— 1685 —

## ნაშრომის ძირითადი დახასიათება

*თემის აქტუალობა:* ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებსა და ლექსებში ღვთის შვილნი წარმოდგენილნი არიან თავიანთი ფუნქციური ნიშან-თვისებებით. მათ მაგიურ-სასწაულებრივ თვისებებს სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, რომელთა მიღმაც იმალება უძველეს ადამიანთა წარმოდგენები ამა თუ იმ მოვლენათა შესახებ და ეთიკური თუ ესთეტიკური პრინციპები.

სიმბოლური აზროვნების უნარი მითოსური ცნობიერებიდან მომდინარეობს, რადგანაც იგი სამყაროს შემეცნების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა კაცობრიობის განვითარების უადრეს ეტაპზე.

ღვთის შვილთა გარეგნული მორთულობა, თავიანთი ფუნქციური ნიშან-თვისებებითა და ბუნებით, სხვადასხვა მხატვრულ საშუალებათა მეშვეობით შესაძლებელს ხდის იმ ფარული საზრისის ამოხსნას, რაც ნათელს მოჰფენს უძველეს ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებსა და რელიგიური ცნობიერების დაფარულ სიღრმეებს.

*ნაშრომის მიზანი:* სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველი სახე-სიმბოლოების შესწავლა ქართულ თეოგონიაში.

ადრეულ ეპოქებში მეტყველება კონკრეტული, გასაგნებული და განპიროვნებული იყო, რაც სიმბოლიკის მნიშვნელობას ზრდიდა და ცნებას სულ სხვა იერს ანიჭებდა. ალეგორიული გამოსახულებანი, ცხოვრების სიბრძნით ნაკვები, უპირატესად ხელოვნებასთან და მითებთან დაკავშირებული სიმბოლიკაა – ერთი თვალსაჩინო საგნით მეორის ან განყენებული ცნების გამოხატვის ფორმაა, რაც ხსნის მითს ან მოვლენას.

დროთა ვითარებაში შესაძლოა სიმბოლომ ტრანსფორმაცია განიცადოს და მხატვრული ეპითეტის როლი შეასრულოს. ამიტომაც ღვთის შვილთა ამა თუ იმ ატრიბუტის პირველსაწყისი მნიშვნელობის ახსნის მცდელობას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი.

*ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი:* მასალის აღწერისას და ანალიზისათვის ძირითადად გამოყენებულია მითოლოგიური ხასიათის ტექსტები (პოეტური და პროზაული), ჯვარ-ხატთა სადიდებლები, აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებები ამა თუ იმ ღვთის შვილის ბუნების გარკვევის თაობაზე. გათვალისწინებულია ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამუშავებული მეთოდოლოგიური მიგნებები. ამასთანავე გზამკვლევად ძირითადად გამოყენებულია ოჩიაურის „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, აპ. ცანავას „ქართული მითოლოგია“ და „საუბრები ქართულ მითოლოგიაზე“ ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგია“, ჯონ. ფოლის „ნიშნებისა და სიმბოლოების ენციკლოპედია“და სხვა.

*საკვლევი პრობლემის შესწავლის მდგომარეობა:* ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მნიშვნელოვანი შრომების მიუხედავად, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ღვთის შვილთა ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველი ატრიბუტების სიმბოლოები და მათი ფუნქცია